

სარგბიედი



საერთო უკრაინული გაზეთი ორგანიზაცია 8 მაისი 2006 №102 (2724)

ფასი 50 თეთრი

უხვედრის ადგილი ისევ უცხოვრია

ლევერკუზენი, ბონი, კიოლნი, კაიზერსლაუტერნი — ამ ოთხი ქალაქიდან ერთ-ერთი 27 მაისს საქართველოსა და ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრას უმასპინძლებს. თავად ფაქტი, რომ შეხვედრა შედგება და თარიღიც აღარ შეიცვლება, გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა.

შეგახსენებთ: ახალზელანდიელებთან სპარინგიდან ოთხი დღის თავზე ქართველები ძალას მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე პარაგვაისთან მოსინჯავენ.

გლგოტი ნაღვი თავენიც აღარაა უნდა

კარგად დანყებული საქმე კარგად დასრულდა. ახალგაზრდა ქართველმა ნაღვლებმა სოფიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი უშუალო კონკურენტი თურქეთის ძლიერით დაიწყეს, შემდეგი ოთხი მატჩიდან სამი მოიგეს და ჯგუფში გამარჯვებულ რუსეთთან ერთად რუმინეთში გასამართ ევროპირველობაზე თამაშის უფლებაც მოიპოვეს.

„იმედია, სათანადო ყურადღებას ამის შემდეგ მაინც მოგვაქცევენ“ — ბულგარეთიდან გვეუბნება გუნდის თავკაცი სოსო მაისურაძე. ნაღვლები, იცოცხლები, იმსახურებდნენ და იმსახურებენ ყურადღებას, მაგრამ ჩვენისთანა უაუზო, უპირობო და უპირო ქვეყანაში მათ ჯერ ბევრიც ვერაინ ამჩნევს.

სიონი	29	22	4	3	53:17	70
308 ჯორჯია	29	21	4	4	53:16	67
დინამო	29	19	4	6	55:21	61
ჯანაპორი	29	18	7	4	44:21	61
ბორჯომი	29	19	2	8	50:24	59
ბათუმი	29	17	6	6	41:21	57
აგარი	29	15	4	10	32:24	49
ლოკომოტივი	29	10	4	15	38:47	34
ახალი	29	9	4	16	31:46	31
ბორჯომი	29	8	6	15	28:38	30
აოლსაი	29	8	5	16	23:36	29
დილა	29	8	4	17	33:45	28
მინვალის	29	8	3	18	30:58	27
თბილისი	29	8	2	19	26:43	26

სოხუმი	29	5	3	21	25:64	18
საბურთაო	29	3	6	20	11:54	15

კიდევ ერთი ნაბიჯი, ერთი 90 წუთი და მე-17 ეროვნული ჩემპიონატი საფეხბურთო სტატისტიკის ნაწილი გახდება. ვინ რა ადგილს დაიკავებს ამ სტატისტიკაში? თუ ბოლნისის „სიონი“ ქუთაისიდან ხელცარიელი არ დაბრუნდა, ქვემოქართლები პირველად დაისაკუთრებენ საჩემპიონო თასს. კახა ცხადაძის გუნდმა რომ ვერ იჩემპიონოს, ერთბაშად რამდენიმე „თუ“-ს დამთხვევა საჭირო, რაც „ოქროს მატჩის“ ალბათობას იოტისხელას ხდის. ბოლნისი დიდი ზემისა და საქართველოს პრეზიდენტის მოლოდინშია, ალბათ პირადად დააჯილდოვებს ჩვენებს, იმედოვნებენ ბოლნისელები. ვერცხლის მედლები და უფასო თასის საგზური „ვიტ ჯორჯიას“ დაუბეჭებია და ბრინჯაოს რაც შეეხება, ალბათ თბილისის „დინამო“ ირგუნებს, რომელსაც უკვე მეორედ მოუწევს ინტერტოტოს თასით ევროსეზონის დაწყება.

ნამეტანი „ჩამოცხა“ ცხრილის ქვედა ნახევარშიც. ლიგოდან გაყარდნითა ვინაობა ცნობილია — თბილისის „სპარტაკი“ და „სოხუმი“. გადათამაშებაში მოხვედრის „მანსს“ ერთბაშად რამდენიმე გუნდი ინარჩუნებს და დიდა ალბათობა, სოხუმელთა ბედი პოლიტიკურ-პარტიოტული მოტივით უმადლესში ჩარიცხულმა მეორე გუნდმა, „ცხინვალმა“ გაიზიაროს. რა გამოდის? შარშან ზაფხულს უმადლესი ლიგა ოთხი გუნდით გაფართოვდა და აქედან სამი უკანვე პირველში ბრუნდება? და რა მისცა ქართულ ფეხბურთს მე-17 ეროვნულმა? ამაზე სასაუბროდ დრო საკმარისზე მეტი გვექნება — ხვალვე ზომ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ცხოვრებას ცხრილია

ზოგი ოქროვია, ზოგსაც უნდა



„ქოლხეთთან“ მატჩში დინამოელი ჯაბა დვალის სამი საგოლე დარტყმიდან ერთი მაკრატელა იყო

სიზანისუფილის GOOD GOAL BYE ზურა და გლგოტი სეზონს არ უჩივია



„ეს სეზონი ჩემთვისაც და „ბლექბერნისთვისაც“ მხოლოდ დადებითად შეფასდება. ჩვენ ძალიან ძლიერად ჩავატარეთ მეორე ნრე და სტუმრად ისეთი მატჩებიც მოვიგეთ, რომლებშიც „ჩელსის“, „მანჩესტერს“, „არსენალს“ და „ლივერპულს“ უჭირთ გამარჯვება“ — გვითხრა გუშინ ზურაბ ხიზანიშვილმა „მანჩესტერ სიტის“ დაამარცხების შემდეგ.

— ეს სამი ქულა სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემი იყო, რადგან მეექვსე ადგილი განაღდებული გექონდა. „სიტის“ ჩვენსავით უმოტივაციოდ იყო და ლალი თამაში გამოვიდა.

— გოლი როგორ გაიტანე?

— კუთხური ჩამოვაწოდეთ, მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და ახლო მანძილიდან ფეხით დავატყე.

— წინა ტურში „ჩელსის“ რომ მოუგეთ, ერან კრესოს ხშირად მეურვეობდი. „სიტის“ რომელიმე თავდასხმელსაც პერსონალურად ეთამაშებოდი?

— მთლად ასე არ იყო. „სიტის“ თავდასხმაში ვასელი და სამარასი თამაშობდნენ, მათი ჩაკეტვა კი ხან მე და ხან კაპიტან ლუკას ნილს გვევალებოდა. კარგია, რომ გოლგაუმეზლად ჩავატარეთ ბოლო თამაში. გულშემატკივრებმა თამაშის მეორე ფაქტორები მოაწყვეს, ლამაზი დამშვიდობება გამოვიდა. „ბლექბერნი“ შარშან ვარდებოდა, ახლა კი უფასო თასზე გავედით. ენახოთ, იმედია, მომავალ სეზონში მაღა გაგვეზრდება. ლიგაში გასვლა ძნელი იქნება, მაგრამ ყველაფერია შესაძლებელი...

— თბილისში როდის ჩამოხვალ? საქართველოს ნაკრებს ზომ მაისის მიწურულს ორი ამხანაგური თამაში აქვს...

— მაისის შუა რიცხვებში ჩამოვალ და, ბუნებრივია, სანაკრებო შეკრებას არ დავაკლდები.

ილია ნანობაშვილი



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ტურის 29 ტურში

გოლენისი. 6 მაისი. 17 საათი. თამაზ სტადიონი. 500 (ტყადალა 3 500)

სიონი 3:0 ავერი

1:0 ხუციშვილი (33), 2:0, 3:0 მიკუჩაძე (63, 66)

<p>სიონი: ბათიაშვილი, ლ. ჭელიძე, ჭიჭვიშვილი (ბაგელოძე 78), რაქვიანი, ა. ალავერდი, ხალაძე, გურბიენო, ვ. უგრეხელიძე, ქუცურა (კობაური 46), მ. ხუციშვილი (ქარდავა 64), მიკუჩაძე</p> <p>სათადარიგო: ბობიაშვილი, სვანიძე, ვიტიანი, ოქრობერიძე</p> <p>მწვრთნელი: კახა ცხადაძე</p>	<p>ავერი: ქვანაია, დ. მჭედლიშვილი, ხვადაგია, გვაძაბია (გარუხავა 57), ჩიკვილაძე (ელბაძე 46), ტატანაშვილი, დობროვოლსკი (ჩიმაკაძე 62) ბოლქვაძე, დეკანოზიძე, ნიკოლაიშვილი, ს. დავითაშვილი</p> <p>სათადარიგო: რ. ნაჭყვია; ნინაძე, რიშვილი, გ. კვანაძე, კაიდარაშვილი</p> <p>მწვრთნელი: გიორგი ჩხრაძე</p>
---	---

გაზრტილი: ხვადაგია (77), გურბიენო (78)

მსაჯენი: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, ა. გუნთაძე; ა. ორდინიძე

დამამხრებელი: მ. ჭელიძე



„სიონმა“ „ავერთან“ მოგებას მიხეილ ხუციშვილის (მარცხნივ) გოლით ჩაუყარა საფუძველი

არსებობს გარკვეული ზეიმი სიონი საჩემპიონოდ იმერეთში გაილაშქრებს

გიორგი ნოზაძე ბოლნისიდან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველიძე, პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი, „სიონის“ საპატიო პრეზიდენტი დავით კირკიტაძე... „თემურ სტეფანიას“ საპატიო სტუმართა ლოკაში გუშინ თავისუფალი ადგილის პრობლემა იყო. იმ შემთხვევაში, თუ „სიონი“ „ავერს“ დაამარცხებდა, ხო-

ლო მცხეთაში გორის „დილა“ თბილისურ „ვიტ ჯორჯიას“ თუნდაც ქულას გამოიჩინებდა, კახა ცხადაძის გუნდს მატჩის დასრულებისთანავე გადაეცემოდა ოქროს მედლები.

ზეიმი არ შედგა, არადა, პირველი ნახევრის შემდეგ ბოლნისელები იგებდნენ და მცხეთიდანაც უგოლო ფრის ამბავი მოვიდა.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიამ“ გორელებს ორი გაუტანა და საჩემპიონო ინტრიგა (ალბათ, მხოლოდ

თეორიული) ბოლო ტურამდე შეუნარჩუნა პირველობა.

თამაში კი მასპინძელთა თვალსაჩინო უპირატესობით წარიმართა. „სიონი“ შინ ქულებს ისედაც თითქმის არ კარგავს და ახლა, სეზონის ბოლო საშინაო მატჩში, როცა ჩემპიონობამდე ნაბიჯი იყო და მეტოქეც ერთი კვირის შემდეგ სათამაშო თასის ფინალზე ფიქრობს, ქვემოქართელები არაფრის დამთმობნი არ იყვნენ.

გიორგი ჩხრაძემ გადახალისებ-

ული შემადგენლობა დაუპირისპირა „სიონს“ და რამდენიმე გამოცდილთან ერთად იმ ახალგაზრდებსაც მისცა თამაშის საშუალება, სხვა დროს ძირითადში მოხვედრა რომ უჭირთ.

„სიონი“ პირველ წუთებში მაინც დამანც შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდა და სტუმრებმაც რამდენიმე კარგი კომბინაცია გაჩაჩხეს, თუმცა ზურაბ ბათიაშვილის კარს რეალურად არაფერი დამუქრებია. სამაგიეროდ, პირველი ტაიმის მეორე ნახევრიდან საქმე არ დალევიდა ზურაბ ქვანაიას. „სიონმა“ თამაში დააღადა და აქეთ ვლადიმერ უგრეხელიძემ, იქით კი ბობარდირობაზე დაეშობა კოკა მიკუჩაძემ რამდენჯერმე უშედეგოდ მოსინჯეს მისი მზადყოფნა.

თუმცა ანგარიში რომელიმე მათგანმა კი არა, მიხეილ ხუციშვილმა გახსნა და თან ერთობ ეფექტურად — ფეხებს შორის გატარებულ ბურთს ქუსლით შეუცვალა მიმართულება — 1:0.

მეორე ნახევარი იმავე სცენარით წარიმართა და გოლებს რაც შეეხება, კოკა მიკუჩაძემ ორივეჯერ თავისივე გამოუმუშავებული პენალტით გაიტანა.

ნამატჩევს კახა ცხადაძემ დაინიშნა, სეზონის ბოლო მატჩში ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატს ასეთი მცირერიცხოვანი პუბლიკა არ ეკადრებაო. მართალიცაა — „თამაზ სტეფანიას“ ტრიბუნებზე, საპატიო სტუმართა ლოკისგან განსხვავებით, აშკარა ხალვათობა იყო.

„ავერი“ 13 მაისის ფინალის, „სიონი“ 9 მაისის ქუთაისური მატჩის მოლოდინშია — კახა ცხადაძის გუნდს ქულადა ამორებს ოქროს მედლებსგან. როგორც ბოლნისური კლუბის ხელმძღვანელები ამბობენ 10 მაისს „თამაზ სტეფანიას“ დიდ ზეიმს უმასპინძლებს, კლუბის საპატიო პრეზიდენტი დავით კირკიტაძე კი ამ ზეიმზე ქვეყნის პრეზიდენტისა და თითქმის მთელი მთავრობის მიწვევას აპირებს.

ბოლნისის ათასი კაცით ირაზმება

ხვალ საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურია და ლიდერ ბოლნისის „სიონს“ ქუთაისში „ტორპედოსთან“ ფრეც ჰყოფნის, რათა ჩემპიონი გახდეს.

ჰოდა, ბოლნისში დიდი ამბავია. მთელი ქალაქი თავისი გუნდის ჩემპიონობისთვის ემზადება და „სიონის“ ქუთაისში ქომაგობაზე ზრუნავს. „სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, რომ „სიონის“ ათასამდე ქომაგს სურს ხვალ ქუთაისში წასვლა. ჭიპაშვილისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ბოლნისის გამგეობა გულშემმატყვერებისთვის ავტო-

ბუსებს აუცილებლად გამოჰყოფს, მაგრამ დაკმაყოფილება კი ყველა წამსვლელის სურვილი? დღეს ბოლნისის გამგეობა ამაღაც შეიკრიბება და შეეცდება, „სიონს“ ქუთაისში გულშემმატყვეარი არ მოაკლდეს.

კლუბის ხელმძღვანელებს ფეხბურთელებისთვის ჯერ არ დაუთქვამს ის პრემიალური თანხა, რომელსაც ისინი ჩემპიონობის შემთხვევაში მიიღებენ, მაგრამ სიონელთა მოტივაციას ხვალინდელი მატჩისთვის ეს, ალბათ, ვერაფრით გაანელებს.

დავით თამარტილაძე



დავით ყიფიანის სახელობის თასი

ფინალში 13 მაისი

სტადიონი მიხეილ მესხი

ავერი vs ზესტაფონი

www.pfl.ge

განერალური სპონსორი: **კვამლე**

მთავარი სპონსორი: **ავერი**

სპონსორები: **საქსტრედა**, **საინფორმაციო მხარდაჭერა**, **სარბიზო**, **ოლიმპი**, **აივბი**, **ეპიკა**, **24**, **მუსიკა**, **BOX**

დასაწყისი 20:00 საათზე

ბილეთის ფასი 23 ლარი

მანის დავარტყამ

რატომ გამოსტავს მუჯირს საპენალტე ბურთი



რატომ დავით მუჯირი სამარის „კრილია სოვეტოეში“ გადავიდა, გუნდის პენალისტად იქცა — რუსულ პრემიერლიგაში მუჯირმა უკვე სამი 11-მეტრიანი გაიტანა, წინა ტურში კი ჩვენებურს მეოთხე პენალტი უნდა დაერტყა, მაგრამ...

„კრილიამ“ „ტომს“ 2:1 მოუგო და, როცა ანგარიში 1:1 იყო, „ტომის“ კარში პენალტი დაინიშნა. ბურთთან მუჯირი მივიდა, ნიშნულზე დადო და ამ დროს მასთან გუნდის უკრაინელი შუახაზელი ანდრეი გუსინი გაჩნდა, რაღაც უთხრა და პენალტიც მან შეასრულა — უკრაინელის დარტყმა „ტომის“ მეკარემ მოიგერია.

რატომ არ დაარტყმევინეს მუჯირს პენალტი? როცა გუნდის სამარაში დავითს დაუერტყეთ, ამ კითხვით მივმართეთ...

— გუსინმა მთხოვა, თავდაჯერებული ვარ და მე დავარტყამო. არადა, ბურთი მე დავდე ნიშნულზე. საქმე ისაა, რომ სანამ „კრილიაში“ მოვიდოდი, გუნდში პენალტისტი სწორედ გუსინი იყო. პირველი 11-მეტრიანი „ზენიტთან“ გავიტანე და მაშინ გუსინს თავად ვთხოვე, პენალტს დავარტყამ-მეთქი. ახლა კი გუსინმა მთხოვა და მისთვის უარი რომ მეთქვა, ჩემი მხრიდან კორექტული არ იქნებოდა.

— როცა „კრილია“ მომდევნო პენალტს მოიპოვებს, ვინ დავარტყამს? — ალბათ, მე.

დავით თავართილაძე



საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე

(ტარიფი ფრცვლდება თბილისის მასშტაბით)

25

თეთრად

საქართველოს რეგიონებში

(ტარიფი ფრცვლდება საქართველოს მასშტაბით)

12

თეთრად დროს

აკრეფვის წესი:

ნამობრივი

მობილურ ტელეფონზე დასარეკად

ალრისხვა

8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)

+ აბონენტის ნომერი

საქართველოს რეგიონებში

8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მგზი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის ბაზ. 31 ტელ.: 442828

www.telecom.ge

სიასლუ ჯეოსელისგან ჭამ-მიქსი!

GEO *123#

ჭამ MIX მიქსი

აკხიფათ

ქ 1 2 3 * 9 # YES

და
მომენტალურად
დაადგიენთ

მიმდინარე
ს ე უ ე ხ ხ ხ რ ი ი
შ ე ტ რ ე ხ ი ს ე ნ ბ ე რ ი უ შ ე შ ი

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge



საქართველოს პრეზიდენტი ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ტურის 29 ტურში

სოსუმეა ზესტაფონს ჩემპიონატი დააპირეს იონანოძემ ხალხს ერთხელ დაენახვა



მალაზაზ თუთაიასთან ზესტაფონიდან



შეცვლაზე შესულ გიორგი ჭელიძეს გასატანად დიდი დრო არ დასჭირვებია

ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან

ზესტაფონური მარცხის მერე „სოსუმი“ ოფიციალურად გამოემშვიდობა უმაღლეს ლიგას.

მასპინძლებმა წინა სათასო მატჩის მსგავსად, მე-7 წუთზე საკუთარ კარში მიიღეს პირველი ბურთი — სოსუმელმა დავით კახელიშვილმა გიორგი ხიდეშელის უხეიროდ მოგერიებული ბურთი მოიხელთა და გრიგოლ ჭანტურიას გაუტანა — 0:1. სოსუმელთა სიხარული რამდენიმეწამიანი გამოდგა. ბექა ნოზაძის ჩაწოდებულის შემდეგ ლევან მაჩალაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი — 1:1.

მე-15 წუთზე „ზესტაფონი“ დაწინაურდა კიდევ — გიორგი ვანუგრაძემ ზურაბ იონანოძეს მიაწოდა, ამან ბურთი გიორგი თურმანიძეს დაუგორა და 2:1.

სოსუმელებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ და რამდენიმე მწუავე შეტევაც განახორციელეს. ვალერი გაგუას გადაცემით არჩილ ნოზაძე პირისპირ გავიდა ჭანტურისთან, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

ირაკლი სიხარულიძესაც შეეძლო ზესტაფონელთა დამწუხრება, თუმცა ვერც მან დაარტყა საგოლედ. მოგვიანებით კი ირაკლი ჭანტურიას გასროლილმა ხარიზა შეაზანზარა.

ზურაბ იონანოძე ბომბარდირთა დავას ლიდერობს და ქომაგიც, რა თქმა უნდა, უფრო მეტად მის გოლებს ელოდა. „იონანო“ ხელობა არ დაევიწყა და სოსუმელებს მესამე ბურთი სწორედ მან გაუტანა, როცა კახა ჩხეტიანის ნაკუთხურაღს თავურით ზუსტი გაგორებულა მოუტანა — 3:1.

ცოტა ხანში სტადიონის დიქტორმა გამოაცხადა თბილისის „დინამოს“ ფორვარდმა ჯაბა დვალაძემ „კოლხეთს“ სამი ბურთი გაუტანა, ბოლნისელმა კოკა მიქუჩაძემ კი „ამერს“ ორიო, რაც იმას ნიშნავდა რომ დვალი და მიქუჩაძე იონანოძეს წამოეწვივნენ... პოლა, ტრიბუნებიც თავიანთი ლიდერისგან კიდევ ერთ გოლს ითხოვდნენ.

„ზესტაფონმა“ მატჩის ბოლოს გაიტანა კიდევ; მაგრამ არა „იონანო“ — ბექა ნოზაძემ შეცვლაზე შესულ გიორგი ჭელიძეს ცარიელ კარში შეაგორებინა ბურთი — 4:1.

პრესკონფერენცია

გოჩა ყორყორიანი: მეგონი, დღეს გულშემატკივარი ნასიამოვნები წავიდა სტადიონიდან. სანამ მეორე გოლს გაუშვებდით, კარგად ვითამაშობდით. რას ვიზამთ, ჩვენ უმაღლესი ლიგა დავტოვეთ, მაგრამ ჩემი გუნდი ყოველთვის ცდილობდა, ლამაზი ფეხბურთი ეთამაშა.

კობა ყორყორიანი: სხვადასხვა მოტივაციის მქონე გუნდები წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. სოსუმელები უმაღლესი ლიგადან კი გაეარდნენ, მაგრამ სულაც არ ტოვებდნენ ცუდ შთაბეჭდილებას. თბილისის „დინამო“ ბოლო ტურში ალბათ აღარ დაკარგავს ქულას და მესამე ადგილიც მას დარჩება, ჩვენ თასისთვის ვიბრძობებით.

ზესტაფონი. 6 მაისი. 17 საათი. ცენტრალური. 3 000 (ტევადობა 10 000)

ზესტაფონი 4:1 სოსუმი

0:1 კახელიშვილი (7), 1:1 მანაძე (8ს.კ.), 2:1 თურმანიძე (15), 3:1 იონანოძე (75), 4:1 ჭელიძე (88)

ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ლონდაძე (ბენაშვილი 90) ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, ნუფი, განუგრაძე (ძარია 65), ბ. ნოზაძე, ფიფია (გ. ჭელიძე 78), იონანოძე, სათადარიგო: რ. კვასცაძე, ბ. გოცირიძე
მწვრთნელი: კობა ყორყორიანი

სოსუმი: სეფიაშვილი, ბართია, მოლოდინი, მანაძე, ჭყოიძე, დ. კახელიშვილი (ი. ჭანტურია 35), სიხარულიძე (მამფორია 78), დონდოლაძე, ხაჩიძე, გაგუა, ა. ნოზაძე, სათადარიგო: ქაშიბაძე, დ. მჭედლიშვილი
მწვრთნელი: გოჩა ყორყორიანი

ბაზრისმწვრთნელი: ჭყოიძე (11), ბართია (49), ლონდაძე (88)

მსაჯე: გ. ჭაჭაუა; ლ. მამიტიძე, ი. კაკაბაძე; გ. კიკაბერიძე

დამკვირვებელი: მ. მალაფურთიძე

ქუთაისის თბილისში დარჩა



მურაზ დოლიძესთან თბილისში

რევაზ კვერცხიძემ „ტორპედო“ დაამშვიდა

ლუკა თალაჩვაძე

ქუთაისის „ტორპედომ“ დიდი წვალბით მოუგო გავარდნილ „სპარტაკს“ და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. ამით რიონისპირელებმა ყოველგვარ პლეი ოფს თუ გადათამაშებას დააღწიეს თავი და მომავალ სეზონსაც საუკეთესოთა მარაგში გაატარებენ.

თუმცა ეს ყველაფერი „ტორპედოს“, როგორც ვითხარით, ციდან სულაც არ ჩამოვარდნია. ქუთათურებს ისევ იმან უშველა, რომ „სპარტაკი“ აბსოლუტურად უმოტივაციო იყო და სულაც არ ანაღვლებდა, წააგებდა თუ მოიგებდა. ამაზე თუნდაც ის ამბავი მეტყველებს, რომ 1:2-ის შემდეგ მასპინძლებს სტუმართა კარისკენ ხეივანად არც გაუხედავთ.

მანამდე კი, ასე თუ ისე საინტერესო პირველი ტაიმი იყო. „ტორპედო“ ბურთს კი ფლობდა, მაგრამ უამრავ უაზრო შეცდომას უშვებდა და „სპარტაკს“ წინ გაიწია.

თბილისელთაგან მეტოქეს ყველაზე მეტ პრობლემას კობა შალამბერიძე უქმნიდა, ვინც ორიოდ თვის წინ „ტორპედოდან“ უკმაყოფილო წამოვიდა, სეზონის ბოლომდე „სპარტაკში“ ჩაირიცხა და აგერ „ჯგაერის ამოყრის“ შანსიც მიეცა.

თუმცა „სპარტაკის“ შეტევებს ქუთათურებმა მალე გადასხეს ცივი წყალი — გიორგი ყიფიანმა ტექნიკური დარტყმით შორეულ ცხრიანში ჩასვა ბურთი და 0:1. ეს ამბავი 27-ე წუთზე მოხდა.

„ანგარიშსწორების დრო“ 36-ე წუთზე დადგა: შალამბერიძემ ორი ტორპედოელი ჩამოიშორა და საჯარიმოში შეჭრილი მესამემ სარმით შეაჩერა. ექსტორპედოელმა პუნალტის შესრულება თავად ითავა და ნელი ტექნიკური დარტყმით ბურთი გადაატარა გაწოლილ სერგო ჭურაძეს — 1:1.

ტაიმის ბოლომდე დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. შეს-

თბილისი. 6 მაისი. 17 საათი. შვირდღიანი. 400 (ტევადობა 1 500)

სპარტაკი 1:2 ტორპედო

0:1 ყიფიანი (27), 1:1 შალამბერიძე (36ბ), 1:2 კვერცხიძე (66)

სპარტაკი: ნაფეტვარიძე, ელიზბარაშვილი, ჯანგიძე, თ. მჭედლიშვილი, ჯორბენაძე (დანელია 59), გაგნიძე, ჯიბლაძე, მ. ლობჯანიძე, კ. შალამბერიძე (რატია 56), ხარაიშვილი (ლიპარტიელიანი 46), მალაფურთიძე, სათადარიგო: ლაძაძე, მაისაშვილი, მოდებაძე
მწვრთნელი: ჯუმბერ აბაშიძე

ტორპედო: ჭურაძე, ბერუაშვილი, ბ. ჩხეტიანი, გამეზარდაშვილი, გურული, კორლაძე, ყიფიანი, რ. კვერცხიძე, დოლონაძე (ბურნაშვილი 81), მ. ლონდაძე (ლალაძე 60), პარამონოვი (კაფიშვილი 78), სათადარიგო: მიგინიშვილი; გორგოძე, ა. კვერცხიძე, დათიაშვილი
მწვრთნელი: იური კვერცხიძე

ბაზრისმწვრთნელი: დანელია (85)

მსაჯე: ლ. ფანიბაშვილი; ი. ურუშაძე, შ. ქუხილაძე; ლ. კვარაცხელია

დამკვირვებელი: გ. სილაგავა

ვენების შემდეგ კი ისედაც ნელი ტემპი კიდევ უფრო დაეცა და სანახავიც აღარაფერი იყო.

დრო გადიოდა, გოლი კი არ ჩანდა, რამაც „ტორპედოს“ კაპიტანი დავით გამეზარდაშვილი გააცოცხა და რამდენჯერმე ისეთი დაუღრიალა თანაგუნდელებს, რომ...

ანერვიულებულმა სტუმრებმა შეება 66-ე წუთზე იგრძნეს — რევ-აზ კვერცხიძემ მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა და ახლო კუთხეში გაიტანა — 1:2.

სათქმელი მეტიც არაფერია, ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში დარჩა...



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უაღელესი ლიგა

პეორა წრე 29 ბურთი

ქვემოთაღმოსავლეთი რეგიონი

საპროტოკოლოს პროექტირება და შესრულება

ლიგა

თბილისი. 6 მაისი. 17 საათი. პროექტი. 500 (ტევიდობა 25 600)



დინამო 5:0 კოლხეთი



1:0 ბობოხიძე (5), 2:0 დვალი (9), 3:0 კობახიძე (30), 4:0, 5:0 დვალი (45, 85)

დინამო: სტურუა (ლორია 46), ორბელიანი, შაშიაშვილი, დ. გიგაური (ჩირიკაშვილი 62), ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ლ. ბურდული, ს. კობახიძე, გ. დარასელია, ჯ. დვალი, მ. ბობოხიძე (ვანაძე 46)
სათადარიგო: ქემოკლიძე, აკობია, ფირცხალავა, ახალაია
მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი

კოლხეთი: ხარძიევილი, ნოზია (ხოფერია 46), ყურაშვილი, ნაბრია, გოგნაძე, ლოლუა, გ. სახოკია (ღვანია 62), ალასანია (ჯახუა 60), ქავთარაძე, ციკოლია, ბერულავა
სათადარიგო: ლატარია, სოლომონია
მწვრთნელი: სოსო ფილია

გაწმენდილები: ბობოხიძე (38)

მსაჯეები: ო. ხეცაძე, გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე, გ. ვადაჭკორია

დამკვირვებელი: ო. რუხაძე



ჯაბა დვალმა ფოთელთა კარის ბაღე სამჯერ შეარხა

გურამ დოლიძე/სპორტული

დინამო კოლხეთს ფოთი არ აკატია დვალის თვალი ბომბარდირობისკენ

კობა ინასარიძე

თბილისის „დინამო“ ჩემპიონატის პირველ წრეში მცირე ჩავარდნის შემდეგ ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო და ლიდერებს კვალში ჩაუდგა, როცა მოულოდნელად ფოთში წაიფორხილა, უგოლო ფრე ითამაშა და სამეულს ჩამორჩა — გეხსომებათ, პირველი წრე „დინამო“ მეოთხე ადგილზე ჩამთავრა.

შაბათს კი „დინამო“ უკვე თბილისში, ოღონდ „მიხეილ მესხზე“, „კოლხეთთან“ ერთგვარი რევანში აიღო და მეტოქეს უკანმოუხედავად გადაუარა. თან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, მასპინძლებს რამდენი გოლიც დასჭირდებოდათ, იმდენს გაიტანდნენ და ასეთი გამან-

ადგურებელი ანგარიშის შემდეგაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დინამომ“ მეტოქე ბოლომდე აღარ გაწირა.

„კოლხეთის“ ამგვარი უმწეობის გასამართლებლად ის თუ გამოდგება, რომ თბილისში ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ითამაშა. რამდენიმე ფეხბურთელს სულაც დებიუტი ჰქონდა უმაღლეს ლიგაში. ფოთელებს გადათამაშებაში მოხვედრა ადარდებოდა და უმაღლესიდან გავარდნის შიშით ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი ბოლო ტურის წინ დაასვენეს. ბოლო ტურში კი „კოლხეთი“ სწორედ კონკურენტ „ცხინვალს“ მასპინძლობს.

„დინამო“ საქმე საწყის ათ წუთშივე მოამთავრა. მასპინძელთა 19 წლის ნახევარმცველმა სანდრო კო-

ბახიძემ მეტოქის მარჯვენა ფლანგი აიკლო და მალევე მიხეილ ბობოხიძეს პირველი გოლი გაატანა, თუმცა ფორვარდმა საგოლე პასი ლაღო ბურდულისგან მიიღო, იქამდე ყველაფერი სწორედ კობახიძემ გააკეთა. რამდენიმე წუთში ბურდულმა უკვე ჯაბა დვალის ასისტენტობა გასწია, გონივრული პასით სტუმართა მეკარეს პირისპირ შეატოვა და ჯაბამაც საჭეთთრიქო საქმე დაიწყო.

ტაბლოზე 2:0 ანთი და მერე საკითხავი ის დარჩა, რომელი დინამოელი კიდევ რამდენ გოლს გაიტანდა, სანდრო კობახიძე კი თავის შესაძლებლობებს როგორ წარმოაჩინდა. ეს ჭაბუკი ფეხბურთელი უკვე მერამდენე მატჩია, ქობაგის ინტერესს იწვევს და ალბათ

ამ ხალხის სათქმელსაც ვიტყვი, რომ კარგი იქნება, თუ ამ ბიჭის თამაშით ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელები დაინტერესდებიან და, თუ უკვე დაინტერესდნენ, მთლად უკეთესი. მისი ბრძოლისუნარიანობა, ფიზიკური მონაცემები და სწრაფად აზროვნების უნარი აღსანიშნად ნამდვილად ღირს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

„კოლხეთთან“ კი სანდრომ ისეთი სადებიუტო გოლი გაიტანა, ქობაგთა ალტაცება რომ მოჰყვა: ვიტალი დარასელიას ჩაწოდებულს ნახტომში მიაცილა თავური — ბურთი ჯერ ხარისხას მოხვდა, შემდეგ კარის ხაზს იქით აღმოჩნდა.

„დინამოს“ მეოთხე გოლზე კი, ულამაზესი იყო, უნდა ვთქვათ: ჯაბა დვალმა ჩაწოდებულ ბურთს

ისეთი მაკრატელა ამოსცხო, ნახეა მართლაც ერთ რამედ ღირდა.

შესვენებაზე მწვრთნელებმა რამდენიმე შეცვლა გააკეთეს, ანდრეი ჩერნიშოვმა სათადარიგო მეკარესაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება. მატჩის სურათი კი არ შეცვლილა. ბურთს, რა თქმა უნდა, მასპინძლები აკონტროლებდნენ და საგოლე შანსებსაც თვლა არ ჰქონდა. ეგაა, კარგა ხნის მომთავრებულ საქმეს „დინამოს“ მეგობრულად დვალმა მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე საბოლოო სახე მისცა. თავად ჰეთ თრიქი გააკეთა, „დინამომ“ კი, ფაქტობრივად, გაინაღდა ინტერტოტოს საგზური. თბილისელთა ბოლო ტურის მეტოქე „სოხუმი“ და მოგება არ უნდა გაუჭირდეთ.



ზურაბ იონანიძე

გოლდამუხენთა გოლო საბრძოლო გაფრენა

მაისის ბოლოს საქართველოს ეროვნული ნაკრები ავსტრია-გერმანიაში შეკრებას გაივლის და სავარაუდოდ ორ საკონტროლო მატჩსაც გამართავს. დაახლოებით ცნობილია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებსაც კლასი ტოპიოლერი ნაკრებში უხმობს — გერმანელი



სპეციალისტი კონკრეტულ მომენტში საუკეთესოებზე დებს ფსონს. აქედან გამომდინარე უთქვამს სწორედ ჰერ კლაუსს, შესაძლოა, ჩემს საფეხბურთო გემოვნებასა და მონახაზში ვერ ვხედავ, მაგრამ უბრალოდ ვალდებული ვარ, საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირს ნაკრებში ვუხმო.

როგორც ჩანს, სანამ ჩვენამდე მოაღწევდა, ეს ინფორმაცია ბომბარდირობის კანდიდატებამდე მივიდა და 29-ე ტურში ნამდვილი გოლთაცემის მომსწრენი გავხდით: ზესტაფონელმა ზურაბ იონანიძემ ერთი, სიონელმა კოკა მიკუჩაძემ ორი, თბილისის დინამომ ჯაბა დვალმა კი სულაც სამი გოლით გამოჩინეს თავი. შედეგად, ბომბარ-

დირთა დავაში 17-17 გოლით იონანიძე და დვალი დაწინაურდნენ. ერთით ნაკლები აქვს გატანილი მიკუჩაძეს.

რა მოხდება ბოლო ტურში? მოსალოდნელია, რომ პოტენციურ ბომბარდირთა გუნდები სწორედ თავისი თავდასხმის ლიდერებზე ააწყოთ თამაშს და ნურც იმას

გამოერიცხავთ, მორიგი ღუბლებს, ჰეთ თრიქების ან სულაც პოკერის მომსწრენი გავხდეთ. ისე, საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები, თუ ერთბაშად ორ ან სამ ფორვარდს გოლების თანაბარი ოდენობა დაუვარდებდა — ისე ხომ არ დაწვრილმანდებით, მათ შორის უმჯობესად ნაკლები პენალტის გამტანი მივიჩნიოთ? ერთით მეტი, ერთით ნაკლები... ავდგეთ და, თითოეულს მივცეთ შანსი. რადგან შანსსა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოზიციაზე ლაპარაკი, არც ის უნდა გამოვიციხოთ, რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრების ფორმა „იონამაც“ მიიღვოს...
გიორგი ნოზაძე



ჯაბა დვალი

გურამ დოლიძე/სპორტული

გურამ დოლიძე/სპორტული



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

29

ტურქი

არაფერი სათუმსაო, სამი ქულა ბათუმსაო

მორი. 6 მაისი. 17 საათი. მართლი. 100 მაყურებელი

ცხინვალის 1:2 ბათუმი

0:1 გ. ონიანი (12), 0:2 ქებაძე (26), 1:2 სულთანშვილი (43)

ცხინვალის: გ. შენგელია, გ. ჩიტია, გ. ლომიძე, ქარქუაშვილი, ევლოშვილი, საჭაბურთაძე (დ. ხანიშვილი 73), კ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, მ. თაყაიძე (მძინარეშვილი 80), ბ. ჩიტია, სულთანშვილი
სათადარიგო: ქვანაშვილი, გ. მაისურაძე, ფერსაყვი, ხოსობაშვილი, ბოლოთაშვილი
მწვრთნელი: ივანე თაყაიძე

ბათუმის: სომხიშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, მ. ლომიძე, ქებაძე, სეთურიძე, გვაზავა, რ. ონიანი, კაკალაძე (გოგიშვილი 87), რ. ჯიქია (თ. უგრეხელიძე 55), დვალისხელიძე
სათადარიგო: თოთლაძე, ექონია, გ. მანუკაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: ქებაძე (13), გვაზავა (6)

მსაჯეები: დ. სანაია, ზ. ხუციშვილი, მ. ელივაშვილი, ა. ნონიკაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

ტარიელ შოთენიაშვილი გორიდან

მატჩის დასაწყისი ბათუმელთა აქტიურობით გამოირჩა და უკვე მე-6 წუთზე ლამა ქებაძეს გატანა შეეძლო, როდესაც მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ გიზო შენგელიამ ზუსტად ითამაშა და სიტუაცია განმუხტა.

კიდევ ექვსი წუთიც და, სტუმრები დაწინაურდნენ. ვლადიმერ დვალისხელიმა კარგად მიაწოდა საჯარიმოში შეჭრილ მიხეილ კაკალაძეს, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ საგოლე და-

რტყმა ვეღარ მოახერხა — გიზო შენგელიამ წააქცია. მსაჯმა უყოფანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად შეასრულა გიორგი ონიანმა — 0:1.

გამებებული გოლის შემდეგ მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განხორციელეს, მაგრამ უშედეგოდ: ბათუმელთა დაცვა თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა.

„ცხინვალს“ მაინც შეეძლო ანგარიშის გათანაბრება. მიხეილ თაყაიძის ფლანგიდან შესრულებული საჯარიმოს შემდეგ ბექა ჩიტია აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე,

მაგრამ ახლოდან არაზუსტად დარტყა.

სტუმრებმაც ბევრი აღარ გააჯანჯლეს და მეტოქე დასაჯეს — დვალისხელი-ქებაძის კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა — 0:2.

ტაიმის დამთავრებამდე ბათუმელებს კიდევ ორჯერ შეეძლოთ გატანა, უფრო 33-ე წუთის ეპიზოდი უნდა გამოვარჩიოთ — კაკალაძის ფლანგური გარღვევის შემდეგ რევას ჯიქიას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ იქარა და დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

ტაიმის ბოლოს კი ანგარიში მაინც შეიცვალა, ოღონდ ამჯერად მასპინძლები გამოიჩინნენ. „ცხინვალის“ შეტევა გიორგი ონიანმა ნოზაძის წაქცევით ჩაშალა და მსაჯმაც ბათუმელები პენალტით დასაჯა — საბა სულთანშვილმა მანსი გამოიყენა — 1:2.

მეორე ნახევარიც სტუმართა აქტიურობით დაგვამახსოვრდა. 68-ე წუთზე მათ კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლოთ, როცა ლევან გვაზავას ჩაწოდებულ ბურთს კარგად დაუხვდა დვალისხელი, მაგრამ მისი თავური ოდნავ ასცდა კარს.

ეს იყო და ეს. მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა...



ლამა ქებაძე

პრემიერლიგის მატჩი

ოთარ გაბელია: ძნელი თამაში გამოვიდა, რადგან მეტოქეს გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს. ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა მთლად კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ კარგია, რომ მოვიგეთ.
ივანე თაყაიძე: „ბათუმმა“ ჩვენზე ძლიერად ითამაშა. ჩვენ კი მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ამიტომ დავმარცხდით.



რევას ბარაბაძე და მისი თანაგუნდელები უმაღლესი ლიგიდან გაგარდნას ვინძლო საბოლოოდ გადაურჩნენ

ტყეზურჩაზას მოგება მეორე უფრო გასტატა

თბილისი. 6 მაისი. 17 საათი. ოლიმპი. 300 მაყურებელი

თბილისი 3:0 კახეთი

1:0 ბარაბაძე (43), 2:0 მ. ბურნაძე (82), 3:0 ვ. კვარაცხელია (85)

თბილისი: მ. ალავეტი, მიწინაშვილი, გუმარაშვილი, მიქიაშვილი, ხოსონიშვილი, ბესარაშვილი (მ. ბურნაძე 46), ლ. კვარაცხელია, სოჯავა, აფციაური, სახვაძე, რ. ბარაბაძე (ვ. კვარაცხელია 81)
სათადარიგო: რ. თევდორაძე, კაკაბაძე, ქორიძე, მ. ხუციშვილი, მ. ბარაბაძე
მწვრთნელი: გიორგი ტყეზურაძე

კახეთი: ცინაძე, ტარულაშვილი, კობახიძე, ა. კვიციანი, ნ. დავითაშვილი, კველიშვილი, კუპრაშვილი (ა. ბურნაძე 55), როსტიაშვილი (ბიძინაშვილი 88), დ. ბურდული, იმერლიშვილი, ტიტიაშვილი
სათადარიგო: გ. იაშვილი, ა. გიორგობაიანი, მ. გიგაური, დინგაშვილი, ცისკარიშვილი
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

მსაჯეები: ლ. სილაგავა; ლ. თოდრია, ზ. ფიფია; ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

გიორგი მახარაძე

თელავის „კახეთმა“ უმაღლეს ლიგაში დარჩენა წინა ტურში გაინაღდა და ალბათ ამიტომაც იყო, უემოციოდ და უჯივროდ რომ ვითამაშა „თბილისს“. საუბრისას ეს დამიდასტურა კიდაც თელაველთა მწვრთნელმა ჯემალ მახარაშვილმა — ამ მატჩში, ფაქტობრივად, მოტივაცია არ გვქონდა, უმაღლესში კი დავრჩით, მაგრამ ბიჭები მომქანცველი სეზონის გამო გადაღლილები არიან, თუმცა სასაყვედურო მათ მიმართ მაინც მაქვს, ასეთ უსუსურ თამაშს ნაღდად არ ველოდი.

„თბილისი“ კი ხალისიანად აგორებდა ბურთს. გოჩა ტყეზურაშვილს შევირდებეს სამი ქულა ჰაერით სჭირდებოდათ, აკი დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს მეტოქე.

ნამატჩევეს ტყეზურაშვილს კონკურენტთა შედეგები აინტერესებდა და, როცა გაიგო, ამ მოგებასაც უფრო მეტად დაედო ფასი, თუმცა: „მოლოცვა ჯერ ნადრევიანია. აი, ბოლო ტურშიც თუ მოვიგეთ, მაშინ გაირკვევა ყველაფერი, ან ლიგაში დავრჩებით ანაც პლეი ოფში ვითამაშებთ“ — ამბობს მწვრთნელი.

„თბილისი“ პირველი ტაიმის ბოლომდე უშედეგოდ უტევედა სტუ-

მრებს: თორნიკე აფციაურმა, გოჩა ხოჯავამ და რევას ბარაბაძემ ვერაფრით გაისწორეს მიზანი. 43-ე წუთზე კი ნანატრი გოლიც გავიდა: აფციაური მარცხენა ფლანგზე უპრობლემოდ გაუსწორდა ორ მეურვეს და ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი რევას ბარაბაძემ „მეორე სართული“ მოუგო სტუმრებს, მაღალ ნახტომში მცველებს დაასწრო და მოძრაობაზე დაჭერილ მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა — 1:0.

ვიდრე მასპინძლები მეორე გოლს გაიტანდნენ, ბარაბაძეს კიდევ ორი რეალური მომენტი შეექმნა: ჯერ იყო და, იმდენი ჰქნა, რომ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ჩაწოდებულ გიორგი ცინაძეს ვერ აცილა ბურთი; მოგვიანებით კი ისევ თელაველთა მეკარეს დაუმიზნა.

82-ე წუთზე პირველის ტყეზურაშვილი მეორე გოლიც ვნახეთ. ამჯერად ასისტენტი არჩილ სახვაძე იყო, ავტორი — მურთაზ ბურნაძე. სამ წუთში კი მატჩში მესამე და ბოლო გოლიც გავიდა, მაგრამ გამოსარჩევი ბურნაძის იდეალური პასი უფროა, სტუმართა დაცვა სახტად რომ დატოვა: ცინაძესთან პირისპირ დარჩენილ ვახტანგ კვარაცხელიას მეტი არც უნდოდა, მხოლოდ შესრულება იყო საჭირო...



მცხეთა. 6 მაისი. 17 საათი. პრემიერი. 100 (ტყეადა 3 000)

ვიტ ჯორჯია 2:0 დილა

1:0 ფეიქრიშვილი (54), 2:0 ლუჭაშვილი (72)

30-ე მინუტი: მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი (ჯაფარიძე 46), აბშილაძე, იმედაშვილი, გველეხიანი, ფეიქრიშვილი, დიღმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე (ლუჭაშვილი 46), ბერიძე, გელაშვილი (ცხომარია 75) სათადარიგონი: ღურბელიშვილი; კვარაცხელიძე, ადამაძე, კლიმიაშვილი
მწვანეთში: ნესტორ მუშაძე

დღის: თ. ილურიძე, გალოგრა, საყვარელიძე, ოლგესაშვილი (დ. თურმანიძე 64), ზ. ქულიძე, გვარჯიანი, შატაბაძე, ნუნუნავა სათადარიგონი: გეგეძე, კობახიძე, ვაჩიშვილი, მასურაშვილი, ფირანიშვილი
მწვანეთში: მალაზა ლაცაბიძე

ბაზრისნიღბა: ოლგესაშვილი (64), ქულიძე (38), გვარჯიანი (62), გველეხიანი (68), ცხომარია (83)

მსაჯე: დ. ხარტიანიშვილი; ზ. გურგენაძე, ვ. გუმბერიძე, ჯ. ბუიშვილი

დამაპირებელი: ნ. კაკულია

უეფას თასი
გიორგობაზე
დილა, ჯორჯია და ფიზიკა

დავით თაბარაძე მცხეთიდან

„ვიტ ჯორჯიას“ ამ მატჩამდე ჰქონდა და ახლაც აქვს ჩემპიონობის თეორიული შანსი; ქულები სჭირდება „დილას“, რათა მე-13 ადგილამდე არ დაქვეითდეს და უმაღლეს ლიგაში დარჩენა სათუო არ გაუხდეს.

პირველ ტაიმში „დილა“ რიგაინად გაუძლიანდა მეტოქეს, ზოგჯერ ძალიან აგრესიულად და ხისტად ეთამაშებოდა „ვიტ ჯორჯიას“; იყო წვივსაფართო და ქაცვთა ჭახანი, შელაპარაკება და ყვითელი ბარათები — გორელები არაფერს უთმობდნენ მასპინძლებს.

პირველი სახიფათო მომენტი ვიტელებმა მე-17 წუთზე შექმნეს — ოლეგ გველეხიანმა ოციოდე მეტრიდან მოხდენილად დაარტყა და ბურთი ოდნავ ააცილა კარს.

„ვიტ ჯორჯია“ კიდევ ორჯერ დაემუქრა მეტოქეს: დავით დიღმელაშვილის კუთხურს გიორგი დათუნაიშვილის არაზუსტი თავური მოჭყვა, ხოლო გიორგი ბერიძის შუაწვივით ბურთი თამაზ ილურიძის ხელეხს.

ვიტელებს ორი წამყვანი მცველი აკლდათ დისკვალიფიკაციის გამო — დავით ლომია და ალექსანდრე კვანაძე — ამიტომაც მეორე წრეში გუნდის მთავარმეგობე და-

ვით იმედაშვილი მცველად გაამწესეს. ასეთმა იძულებითმა გადაადგილებამ ვიტელთა იერიშებს სოლიდური ძალა მოაკლო და პირველ ტაიმში „დილა“ თავი არაფრით დაანაგვრინა ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს.

შესვენების შემდეგ კი ძალა აღმართს ხნავდა — „დილა“ პირველ რიგში ცუდმა ფიზიკურმა მომზადებამ დააღალატა და ვიტჯორჯიელ შემტევეებს ვეღარ გაუძლო.

ბერიძის ილურიძესთან პირისპირ გადიოდა, რაშიც მას ალბერტ საყვარელიძემ წესის დარღვევით შეუშალა ხელი და 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა გიორგი ფეიქრიშვილმა — 1:0.

„ვიტ ჯორჯია“ არ დამცხრალა — ნიკა გელაშვილს თავურით შეეძლო უპირატესობის გაზრდა, ხოლო გველეხიანმა ძელს გაარტყა ბურთი.

და მეორე გოლიც: დავით დიღმელაშვილის გამჭოლი პასით ვასილ ლუჭაშვილი ილურიძესთან მართო დარჩა და ოსტატურად გადაავლო ბურთი მეკარეს.

„ვიტ ჯორჯიას“ კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ ბერიძის მოხდენილად ვერ იყოფა, ილურიძემ კუთხურზე მოიგვრია მისი დარტყმული.

ამ გამარჯვებამ ვიტელებს მეორე ადგილი და უეფას თასზე თამაში გაუნაღდა.

ბორჯომი რთხ ნუთუი დაბაზა
მწარე მოგონება: სპარტაკი რომ არა...

ბორჯომი. 6 მაისი. 17 საათი პრემიერი. 100 (ტყეადა 5 000)

ბორჯომი 2:0 ლოკომოტივი

1:0 გონაშვილი (56), 2:0 დე პორასი (60)

ბორჯომი: მამალაძე, მემარნიშვილი, ლ. მერეზაშვილი, ს. ბურნაძე, ბაქრაძე, ვ. გონაშვილი (თეფიაშვილი 66), მესხი, სანიკიძე, გ. ჩხეტიანი, გენაძე (ნ. ლომიძე 76), დე პორასი სათადარიგონი: მამარდაშვილი; გაბისკარია
მწვანეთში: ვლადიმერ ხაჩიძე

ლოკომოტივი: ლ. ლომიძე, ავალიანი, ებრაელიძე, თუთბერიძე, ფურთუხია, ბარბაქაძე (ყენია 46), ყიფიანი, ბახტაძე (ზორგუაშვილი 74), ჩივაძე, მ. ჟღენტი, გ. კახელიშვილი სათადარიგონი: ზ. ჩალაძე; მიხაილიძე, მენაბდე, დ. ფოცხაძე
მწვანეთში: სოსო სირაძე

ბაზრისნიღბა: ბარბაქაძე (4), მემარნიშვილი (11), გონაშვილი (56)

მსაჯე: მ. ბეჟელიშვილი; გ. დოგრაშვილი, თ. ხუჭუა; ხ. გაგნიძე

დამაპირებელი: თ. ლორთქიფანიძე

ილია ნანობაშვილი ბორჯომიდან

56-ე წუთი: ლევან სანიკიძემ გრძელი პასი გაუკეთა ვლადიმერ გონაშვილს, „ლოკომოტივის“ დაცვა აიჭრა და ბორჯომელთა ტანმალაღმა ფორვარდმა მეკარესთან პირისპირ შეყვრისას იოლად გაიტანა — 1:0.

მე-60 წუთი: არგენტინელმა გონსალო დე პორასმა ცენტრში იბრძოლა, რევაზ გეჭეძემ გადაწო-

და ბურთი, მისი მისგანვე მიიღო გამჭოლი გადაცემა და 10-15 მეტრიდან 2:0 გახადა.

...ასე, ოთხწუთიან მონაკვეთში გააკეთა „ბორჯომმა“ საქმე. არადა, მანამდე ისეთი თამაში მიდიოდა, რომელ კარში შეყვრდებოდა ბურთი, ძნელი გამოსაცნობი იყო.

„ლოკომოტივმა“ წინა ტურში „ვიტ ჯორჯიას“ გაუმართა ბრძოლა, ახლა ბორჯომშიც ლაღად ითამაშა და საერთოდ, ისე დაჩენილი



გონსალო დე პორასმა, რა თქმა უნდა, გაიტანა

პატარა ქართველების მეტოქეები ჭაკობან

ლუქსემბურგში მიმდინარე 17-წლამდელთა ევროპეისკოპიონატზე მეორე ტური მიიღია და საქართველოს ნაკრების მომავალმა სავეროსესარჩევო მეტოქეებმა თავიანთი მატჩები ჩააგდეს. ლაპარაკია რუსეთსა და გერმანიაზე, რომლებიც მაკედონიასთან ერთად შემოდგომაზე თბილისში გვეწვევიან მომავალი შესარჩევი ციკლის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე.

რუსეთს უნგრეთთან 1:0 მოგება ესპანეთთან 0:3 მარცხით ჩაუმწარდა. ესპანელები ტურნირის მთავარი ფავორიტები არიან და სამივე გოლი მეორე ტაიმში გაუტანეს ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს.

რუსთა შემაღვანელობა ასეთი იყო: პომპანოვი, კაშვიცი, მორიზოვი, ვლასოვი, ვაგლოვი (მოჩალინი 59),

ფომინი, პრუდნიკოვი (კარატაევი 49), გორბატენკო (მარენიხი 64), რიუკოვი, ამირხანოვი, სამსონოვი.

იგორ კოლივანოვის ნაკრებს ნახევარფინალში გასასვლელი შანსი მაინც აქვს — ბოლო ტურში უქულო ლუქსემბურგს უნდა მოუგოს და ამასთან, უნგრეთმა არ უნდა სძლიოს ესპანეთს.

გერმანია კი ჩეხეთს 0:0 ეთამაშა და 4 ქულა აქვს. ბოლო ტურში მას სერბეთთან ფრეც ხელს აძლევს, რათა ჯგუფიდან გავიდეს.

მერმანი: ცილერი, კოპლინი, ვრზოვიჩი, შორჩი, იუნგვიითი, ს. ბენდერი, მარინი, ლ. ბენდერი, ფიშერი, კროსი (პუკი 77), გეპპარტი (ვრანჩიხი 59).

ილია ნანობაშვილი

საქართველო	17	ჩემპიონატი	ლიგა
მეორე	17	ტურა	სრა
XXXIII ტური			
7 მაისი, კვირა			
საგარეჯო	1:1	ამერი	2
მერანი	3:2	რუსთავი	
გაგრა	1:0	გურია	
თბილისი	2	6:2	იმედი
დინამო	2	1:1	ჩიხურა
ზუგდიდი	2:1	მეშახტე	
ლიახვი	1:3	მესხეთი	
ხესტაფონი	2	0:0	მეშახტე
ვიტ ჯორჯია	21:0	მალაროელი	

ჩიხურა	33	23	6	4	84:32	75
მერანი	33	23	5	5	59:26	74
გაგრა	33	19	10	4	47:20	67
დინამო 2	33	17	8	8	54:25	59
მეშახტე	33	17	5	11	45:32	56
მესხეთი	33	16	6	11	47:30	54
ამერი	33	14	9	10	38:26	51
რუსთავი	33	13	9	11	48:35	48
ვიტ ჯორჯია	33	13	6	14	40:40	45
გურია	33	13	5	15	45:44	44
თბილისი	33	12	8	13	34:39	44
ზუგდიდი	33	12	7	14	22:30	43
მეშახტე	33	10	9	14	35:40	39
ხესტაფონი	33	9	9	15	23:41	36
მალაროელი	33	9	7	17	37:56	34
საგარეჯო	33	7	10	16	28:43	31
იმედი	33	5	2	26	21:85	17
ლიახვი	33	4	1	28	24:87	13



ევროპის ჩემპიონატზე არსენ კასაბიევმა 220 კილოგრამი ატარა

მსირა ოქრო და დიდი ოქროს თაობა

პოლონეთის ქალაქ ვლადისლავოვოში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ძალოსანთა ნაკრები ოთხკაციანი შემადგენლობით გამოვიდა და ერთი მცირე ოქროს მედალი მოიპოვა. 18 წლის არსენ კასაბიევმა (94 კგ) ატაცის გაცულების შემდეგ 220 კილოგ-

რამი ატარა, რაც მის გარდა ვერაინ შეძლო. დიდებში დებიუტი მეშვიდე ადგილებით აღნიშნეს 18 წლის ზვიად სამუკაშვილმა (56 კგ) და რაულ ცირეკიძემ (85 კგ), ერთი წლით უფროსი ალბერტ კუზილოვი (94 კგ) კი მეცამეტეზე გავიდა.

გუნდის საერთო გამოსვლით უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა — გვითხრა ნაკრების თავკაცმა ვანო გრიჭუროვმა გუშინ, პოლონეთში რომ შევეზიარებო — თუმცა არა უშავს, ამ სეზონში ჩვენი მთავარი საფეხბურთო ოქტომბერში დომინიკის რესპუბლიკაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატია და ეს ევროპა მისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთ ეტაპად მიიჩნეოდა.

პირველ რიგში კასაბიევზე გვითხვით. ატაცში მის წარუმატებლობას რას აბრალებთ?

ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე ვითხარით ინტერვიუში, რომ არსენის შემადგენლობაში დაყენებას არც კი ვაპირებდი. მისი წაყვანის გადაწყვეტილება ზედ ევროპის წინ მივიღე და ამრიგად, მისგან აუცილებლად შედეგს ვერც მოვიტხოვდი. კასაბიევმა ხეირიანად ხომ მხოლოდ თვეწახევარი ივარჯიშა, იქამდე კი ორი თვე მძიმე ტრავმამ დაასვენა. ატაცის დაწყებისასვე ეტყობოდა, რომ საოცრად ნერვიულობდა. ეშინოდა, მუხლი ისევ არ სტკენოდა. მსგავსი შიში ტრავმის შემდეგ ჩვეულებრივი მოვლენაა. სამწუხაროდ, ზუსტი მოძრაობა ვერ გააკეთა და დიდი მედ-

ლისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა. — აკვრაში კი ყველას აჯობა... — სასწაულად შეიცვალა. ისე გმირულად იბრძოლა, ყველა სახტად დატოვა. თან, რაც ყველაზე მეტად მახარებს, უკან უმთავრესი ფავორიტები ჩამოიშოვა. 220-კილოგრამიანი შტანგის აწევა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა კოლეცკიმ და პაშაევმაც კი ვერ შეძლეს.

ამავე წონაში ალბერტ კუზილოვმა მეცამეტე ადგილი დაიკავა. მისი გამოსვლით კმაყოფილი დარჩით?

ამ ეტაპზე ალბერტმა ძალიან კარგი შედეგი აჩვენა. ორი წლის წინ მან ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი 161+195 კილოგრამი შედეგით მოიპოვა. ახლა კი 168+208 აჩვენა. არაჩვეულებრივი წინსვლაა და აუცილებლად გაგრძელდება. 5-5 კილოგრამიც რომ მოუმატოს, უკვე არსენის დონეს მიუახლოვდება. საერთოდ ამ ევროპაზე ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ სწორედ 94 კილოგრამში მოიყარა თავი. ასე რომ, კმაყოფილი ვარ.

მედალთან ყველაზე ახლოს სამუკაშვილი იყო, მაგრამ მეშვიდეზე გავიდა, ისევე როგორც ცირეკიძე.



გიორგი ასანიძეს ჯერ საბოლოოდ არ გაუშვია შტანგისთვის ხელი

მურაბ დოღულაძე/მედიის ფოტო

საქალაქო სპორტული შეხვედრა

სოფიაში დამთავრდა წყალბურთში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თავის ჯგუფში 5-დან 4 თამაში მოიგო, მეორე ადგილი დაიკავა და ფინალურ ეტაპზეც გავიდა. ტურნირის დაწყებიდან ორ დღეში ქართველებს სამიდან ორი თამაში ჰქონდათ მოგებული და რაც მთავარია, უშუალო კონკურენტი თურქეთის ნაკრები ყველა დამარცხებული. თუ დარჩენილ ორ თამაშსაც მოიგებდნენ, ჯგუფიდან გასვლას გაინადრებდნენ. ასეც მოხდა, ქართველებმა შაბათს ბულგარელებს 13:6, კვირას კი მოლდოველებს 19:10 მოუგეს და აგვისტოში რუმინეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საგზურიც მიიღეს.

გუშინ სოფიაში ნაკრების თავკაც სოსო მაისურაძეს დაუვკავშირდით, რომელიც, ბუნებრივია, ძალიან გახარებული იყო — „ბედნიერი ვარ... წარმატებას დიდი შრომის ფასად მივაღწიეთ, მეტოქეები მართლაც ძლიერი გვყავდა. თურქეთის ნაკრები, რომელიც ჩვენი მთავარი კონკურენტი იყო, მსაჯების სიმპათიითაც სარგებლობდა. თავად წარმოდგინეთ, უშუალო დაპირისპირებაში 14-ჯერ გაგვიძევებს მოთამაშე, მაშინ, როდესაც მეტოქეებს მხოლოდ ოთხჯერ დაატოვებინეს აუზი. ამის მიზეზი ევროპის წყალბურთის ფედერაციის თურქი პრეზიდენტის ლობირება იყო. ასეთი ზეწოლის მიუხედავად, მაინც გავიმარჯვეთ. რუსეთის ძლიერ ნაკრების დამარცხებაც შეიძლებოდა, მაგრამ გამოცდილებამ და სათამაშო პრაქტიკამ თავისი გაიტანა. ახლა უკვე ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ. იმედია, სათანადო ყურადღებას ამის შემდეგ მაინც მოგვუქცევნ. სტანდარტული ზომის აუზის გარეშე ვეღარ ვიქნებით. სათანადო მომზადება საჭიროა, რათა აგვისტოში ევროპის ჩემპიონატზე კარგად გამოვიდეთ. ამისთვის აუზის გარდა სათამაშო პრაქტიკის მიღებაც აუცილებელია. რაც შეიძლება მეტი თამაში უნდა გავმართოთ, რათა შეუთამაშებლობის პრობლემა მოგვარდეს.“

ლემსო მანისუბანი

კალენდარი



მეორე რაუნდში 13 სეზონში პირველად გასულმა კლივლენდელმა ლამის დააბრუნა „მეინგტონთან“ გადამწყვეტი ბურთის ჩამგდება დევიდონ ჯონსი

5-6 მაისი
ალბონსკლავი
ჯლივლიანი 4:2 ჰაშიმბონი
ვაშინგტონი 113:114 კლივლენდი
ძირითადი დრო 107:107
ვაშინგტონი: არენსი (36 ქულა, 11 პასი), დანიელსი (22), ბატლერი (18 ქულა, 20 მოხსნა), ჰეივუდი (17), ჯეიმსონი (15)
კლივლენდი: ჯეიმსი (32), მარშალი (28), მიურეი (21)


„კლივლენდმა“ ბოლო 13 წელიწადში პირველი საპლეიფო სერია მოიგო და ამაში ძირითადად ორ კაცს უნდა უმადლოდეს — 21 წლის ლებრონ ჯეიმსს, ვინც თავის გუნდს „მეინგტონთან“ სერიაში 35,7-ქულიანი საშუალო მაჩვენებლით ულიდერა, და დევიდონ ჯონსს, რომელმაც ბოლო მატჩში ოვერტიმის უკანასკნელი 14 წამი

„მეინგტონთან“ მოვლანზე და ერთადერთხელ შეეცა ბურთს — სირენამდე 4,8 წამით 112:113 ანგარიშზე კუთხიდან გაისროლა „კლივლენდის“ გადამდებელი და 20 დედაქალაქელის გამოგნებული ბურთი.
დასავლეთი
სან ანტონიო 4:2 საარაგონო
საპარამენტო 83:105 სან ანტონიო
საპარამენტო: ბიბი (19), ველსი (17 ქულა, 11 მოხსნა)
სან ანტონიო: პარკერი (31), ბოუენი (16), დანგანი (15)
ფინიქსი 4:3 ლაიპარსი
ფინიქსი 121:90 ლაიპარსი
ფინიქსი: ბარბოსა (26), დიპუ (21), მარინი (14 ქულა, 10 მოხსნა), ნემი (13), ბელი (13). ციტიზვილი (2 წუთი, 1 პასი)
ლაიპარსი: ბრაიანტი (24), უოლტონი (16)

ჰოკეი

კლვი ოფი 2006	
მეოთხედიანი	პაროლინა 6:0 ნიუ ჯერსი
5-6 მაისი	1:0 3:0 2:0
ალბონსკლავი	დასავლეთი
ოტავა 6:7 ბუფალო	ანაჰაიმი 5:0 კოლორადო
2:2 2:2 2:2 0:1	0:0 4:0 1:0

ოსკარი ისევ ოქროსია



რინგზე დაბრუნებული ოსკარ დე ლა ჰოია რიკარდო მაიორგას გვეს

AFP ლას ვეგასიდან

გამოვიდა და მთელი ექვსი რაუნდის განმავლობაში თანაბრად ებრძოლა. მერე ჯალათის მეტსახელით ცნობილმა ჰოაკინსმა თანდათან უპირატესობა მოიპოვა და მეცხრე რაუნდში ოსკარს თირკმელში ისე ძლიერად უთავაზა, რომ რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა. ამას მოჰყვა შინ მოზლისთან და ფელიქს ტრინიდალთან წარუმატებელი შეხვედრები, რაც პრესამ ოსკარ დე ლა ჰოიას კარიერის დასასრულად აღიქვა, მაგრამ „ოქროს ბიჭუნამ“ ორი წლის შემდეგ დაამტკიცა, რომ მის პროფესიული რინგიდან ჩამოწერა ნადრევი ყოფილა და ასე ხმაურით დაბრუნდა დიდ რინგზე.

დე ლა ჰოიამ რიკარდო მაიორგა პირველსავე რაუნდში დაავდო. მომდევნო რაუნდებშიც თვალსაჩინო იყო მისი უპირატესობა. შეექვსე რაუნდში ოსკარმა კვლავ ფიცარნაგზე დასცა მეტოქე, რომელიც, მართალია, მეცხრე დათვლაზე წამოდგა, მაგრამ რაკი მას ამერიკელის შეტევების გაძლევის ილაჯი აღარ შეჩინებდა, რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა.

ავთანდილ ხაჩიშვილი



კიმ კლიტჩკოსი

AFP ვარშავიდან

პაცეპი

ემტორილი, პორტუგალია თიხნარი, საპრიზო 531 250 €

შინალი

დავიდ ნალვანდანი (ს. არგენტინა) — ნიკოლაი დევიდოვი (2, რუსეთი) — 63 64

პაცეპი

მიუნხენი, გერმანია, თიხნარი საპრიზო 323 250 €

შინალი

ოლივია როუსი (5, ბელგია) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — 6:4 6:2

ქალაქი

ვარშავა, პოლონეთი, თიხნარი საპრიზო 600 000 \$

შინალი

კიმ კლიტჩკოსი (ს. ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) — 7:5 6:2

ავტორბოლა

ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეხუთე ეტაპი

აი, ტაქტიკა ფერარნახული

ორი მეათედი წამით ჩამორჩა, ფელიქე მასამ მესამე დრო აჩვენა. ფერნანდომ სამჯერ გააუმჯობესა სუბილომეტრიანი წრის გავლის დრო, რაც ნაკლები საწვავისა და ამდენად, ადრეული პიტსტოპის მანიშნებელი ჩანდა.

„მსუბუქმა“ ალონსომ სტარტზე მეწინავეობა აღვილად შეინარჩუნა, მას კულში მიხაელი და მასა მიჰყვევნ. ბარიკელო მძიმედ დაიძრა და სამი პოზიცია დაკარგა. დასაწყისშივე დევიდ კულჰარდისა და ვიტანტონიო ლიუციის ბოლიდების შეჯახების შედეგად ორივენი ბრძოლას გამოეთიშნენ. ეს მთელ დისტანციაზე ერთადერთი ავარია იყო.

დაწინაურებულთა ჯგუფში — ალონსო, შუმახერი, მასა, რაიკონენი, ბატონი, ტრული, ბარიკელო, ვილნევი — პიტსტოპამდე გადაადგილება არ მომხდარა. ფერნანდო წამს უგებდა მიხაელს, სამს — ფელიქეს, დანარჩენები უსა-

შველოდ ჩამორჩნენ. მიმდევრობა არც პირველი საბოქსე შეყვინებას დაურღვევია, მეორემ კი „ფერარის“ ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა.

22 წრე რჩებოდა, ალონსომ მეორედ რომ ჩაიმატა საწვავი, რასაც მ,8 წამი მოანდომა. შუმახერმა სამი წრე იცადა, სამივეზე უსწრაფესად იქროლა და დროის სასურველი მარაგი დააგროვა, თანაც ბოქსში კონკურენტზე ორი წამით ნაკლები დაჰყო.

ერთი სიტყვით, შუმი ნანდოზე ოთხწამიანი უპირატესობით დაუბრუნდა ბრძოლას და გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა. ამხელა ჩამორჩენის დაძლევა ესპანელის ძალას აღმატებოდა და ჩემპიონს აღარც უცდია შებრძოლება — მალე სხვაობა გაორმაგდა კიდევ.

37 წლის მიხაელი ბავშვით გახარებული ჩანდა, ფერნანდო კი, თუმცა რბოლაზე აცხადებდა — ცხრილში იმხელა უპირატესობა მაქვს,



მიხაელ შუმახერმა და ფელიქე მასამ თითქმის დუბლით გაიმარჯვეს

AFP ნაუმბურგიდან

მეორე ადგილითაც კმაყოფილი ვიქნები, პირველზე დაზარებული იდგა. თავის 57-ე რბოლაში პირველად შედგა პოდოუმზე მასა აღსანიშნავია ახალბედა ნიკო როსბერგის პატარა გამბოვაც. შუმახის ძრავის შეცვლის გამო მან ბრძოლა ბოლო, 22-ე პოზიციიდან დაიწყო, მაგრამ უნაკლოდ იჯიროთა და მეშვიდე ადგილით ორი ჩასათვლელი ქულაც იშოვა.

ბია ახალაძე

ფორმულა 1

რბოლის შედეგები
ფორმულა 1-ის 7-ე რაუნდი
7 მაისი, ნიურბურგი
 დისტანცია 60 წრე — 308,8 კმ

1	(2)	შუმახერი (ფერარი)	1:35.588 (193,0 კმ/სთ)
2	(1)	ალონსო (რენო)	ჩამორჩა 3,7
3	(3)	მასა (ფერარი)	4,4
4	(5)	რაიკონენი (მაკლარენი)	4,9
5	(4)	ბარიკელო (ჰონდა)	112,9
6	(13)	ფილიპე მასა (რენო)	114,1
7	(12)	როსბერგი (უილიამსი)	114,6
8	(10)	ვილნევი (BMW-ზაუბერი)	129,4
9	(7)	ტრული (ტიოტა)	1 წრით
10	(15)	პაილფელდი (BMW-ზაუბერი)	1 წრით
11	(19)	საბი (ტიორო როსო)	1 წრით
12	(20)	მონტეირო (MF 1)	1 წრით
13	(18)	ალბერსი (MF 1)	1 წრით
რბოლას გამოეთიშნენ			
(11)	რ. შუმახერი (ტიოტა)	გაიარა 52 წრე	
(8)	მონტეირო (მაკლარენი)	52	
(21)	საბო (სუპერ აგური)	45	
(22)	მონტანი (სუპერ აგური)	29	
(6)	ბატონი (ჰონდა)	28	
(17)	კლიენი (რედ ბული)	28	
(9)	ვებერი (უილიამსი)	12	
(14)	კულჰარდი (რედ ბული)	2	
(16)	ლიუცი (ტიორო როსო)	0	
ფორმულა 1-ის საკვალიფიკაციო ადგილი			
პოული			
ალონსო 129,819 (206,3 კმ/სთ)			
საკვალიფიკაციო წრე			
შუმახერი 1:32,1 (201,2 კმ/სთ)			

	ბარტონი 12 მაისი	მასა 19 მაისი	ბატონი 2 აპრილი	სან მარინო 23 აპრილი	მონტანი 7 მაისი	მასა 14 მაისი	მონტანი 28 მაისი	დ. ბარტონი 11 ივნისი	ბატონი 25 ივნისი	კუმი 2 ივლისი	ს. ბარტონი 16 ივლისი	ბარტონი 30 ივლისი	შუმახერი 6 აგვისტო	მონტანი 27 აგვისტო	მონტანი 10 სექტემბერი	მონტანი 1 ოქტომბერი	მონტანი 8 ოქტომბერი	მონტანი 22 ოქტომბერი	კუმი
1 ალონსო რენო, ესპანეთი	10	8	10	8	8														44
2 შუმახერი ფერარი, გერმანია	8	3	-	10	10														31
3 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი	6	-	8	4	5														23
4 ფილიპე მასა რენო, იტალია	-	10	4	1	3														18
5 მასა ფერარი, ბრაზილია	-	4	-	5	6														15
6 მონტანი მაკლარენი, კოლუმბია	4	5	-	6	-														15
7 ბატონი ჰონდა, დ. ბრიტანეთი	5	6	-	2	-														13
8 შუმახერი ტიოტა, გერმანია	-	1	6	-	-														7
9 ბარიკელო უილიამსი, ესტრალია	-	-	2	-	4														6
10 ვილნევი უილიამსი, ესტრალია	3	-	-	3	-														6



მაკლარენისთვის საკითხავი არაფერია: ჭკუის საკითხავი ვენეიზელა



ტერი ვენეიზელი

ინგლისის ნაკრების ახალდანიშნულმა მენეჯერმა სტივ მაკლარენმა უკვე გადადგა ფანობის მოსაწონი ნაბიჯი: მან ასოციაციას უთხრა, რომ თავის უპირველეს თანამშემწედ ტერი ვენეიზელი სურს. ტერი ვენეიზელი ინგლისელი ფანების უსაყვარლესი მწვრთნელია, რომელიც ათი წლის წინ ნაკრებიდან წავიდა და ასოციაციის გაუფრთხილებლობის გამო, კერძოდ კი, ნოელ რაიტთან ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს. მან ნაკრები ევრო 96-ის შემდეგ სწორედ რაიტთან

ხმამაღალი ჩხუბის გამო დატოვა. ვენეიზელი ახლა უმუშევარია და შეუძლია, მაკლარენს დაეხმაროს. ეს ახალი მოდა ჩანს ბრიტანეთსა და ირლანდიაში: ირლანდიელთა ახალბედა მწვრთნელ სტივ სტონტონის ასეთივე თანამშემწე 73 წლის სერ ბობი რობსონია და ქომაგები ძალიან კმაყოფილი არიან. მაკლარენმა კარგად იცის, რომ ნაკრების გამოცდილ ფეხბურთელებში ვენეიზელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მესამე წე-

ლიწადია, ვენეიზელი აქტიური საფეხბურთო საქმიანობით დაკავებული არ ყოფილა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს თასის შემდეგ სვენ გორან ერისკონი კი მიდის, მაგრამ მის თანამშემწეთა უმრავლესობა რჩება: მათ შორის სემი ლი და რეი კლემენსი და მაკლარენი თავისთვის სასურველი ხალხის მოყვანით ფრთებს ვერ გაშლის. თუმცა ისიც ცხადია, რომ სტივს აშკარად სჭირდება უფროსი კაცი, ვისაც ფეხბურთში ყველაფერი უნახავს.

„მიდლსბროში“ უფროსობისას მაკლარენს ასეთად სპორტული ფსიქოლოგიის მეტრი, ბილ ბურსვიკი ჰყავდა, ვინც მის ასისტენტად ითვლებოდა. მან დიდი როლი შეასრულა მაკლარენის საქმიანობაში, თუმცა, როგორც ამბობენ, ახლა „ბოროში“ რჩება.

ამიტომ მართლა საუცხოო იქნება, თუ ისეთი კაცი, როგორც ვენეიზელია, ნაკრების საქმეში დაბრუნდება. ახლა ის 63 წლისაა და სწორედ ის რომ მრჩევლის და არა მენეჯერის სიბრძნეს ფლობს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ასოციაცია სვენ გორან ერისკონის ნიშნავდა ნაკრებში მწვრთნელად, ხალხის რჩეული ვენეიზელი იყო.

**ირაკლი გამყრელიძე
ლონდონიდან**



კარლოს ტევესი

დიდფულა ხალხმა ტევესით ისადილა

„ჩელსის“ მენეჯერი ფოზე მარინიუ სან პაულუმე ყოფილა. იქ „კორინთიანისის“ თამაში უნახავს და ამ კლუბის პატრონ კია ჯურაბიანთან ერთადაც უსადილია. ამ სადილს დასწრებია „ჩელსის“ სანდო პირი და აგენტი პინი ზაპავიც, ვინც თავის დროზე რომან აბრამოვიჩის ჯერ „ჩელსი“ აყიდინა, მერე — 12 ფეხბურთელი. პოდა, სამთა შეხვედრა ისე როგორ ჩაივლიდა, რომ თათბირიც არ გამართულიყო. „თაიმისის“ ცნობით, თითქმის გადაწყდა, რომ „ჩელსი“ „კორინთიანისისგან“ დღეს საუკეთესო არგენტინელს, კარლოს ტევესს შეიძენს.

ჯურაბიანს თავიდან უთქვამს, ბიჯი 44 მილიონი გირვანქა ღირსო, მაგრამ ლაპარაკი რომ გახურებულა, 32-მდეც ჩამოსულა და ორი სხვა ფეხბურთელიც შეუთავაზებია. თან დაუმატებია, კარგი იქნება, „ჩელსის“ ზოგიერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი „კორინთიანისში“ მოვიდეს ქირით.

კარლოს ტევესი დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, „ჩელსი“ კი საგაიხად შევსებას გეგმავს და პოლიტიკაც ისეთი აქვს, რომ თითო ადგილზე ორი მართლაც სრულფასოვანი მოთამაშე ჰყავდეს. თუმცა მაურინიუმ უარყო

ეს ყველაფერი და თქვა, ენას ძვალი არა აქვსო.

უარყო ეს ამბავი ჯურაბიანსაც, რომელმაც თქვა, ჯერ ერთი, ტევესი 44 მილიონადაა შეფასებული და მეორეც, ჩემი გუნდის ლიდერის გაყიდვას სულაც არ ვაპირებო. თუმცა „თაიმისის“ სიტყვა უფრო სანდოა, ვიდრე საფეხბურთო მოღვაწეებისა. ეს ისტორიამ დაამტკიცა.

მაურინიუს კი 3 მილიონად „ფეინორდის“ კოტლიუარელი სალომონ კალუ თითქმის ნაყიდი ჰყავს. აფრიკელი უნდერკინდი სამი წელიწადია, პოლანდიაში ცხოვრობს და თამაშობს და ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც მიმართა, ეგებ ამ ბიჭს მოქალაქეობა მივანიჭოთო, თუმცა უარი მიიღო: ერთი რომ, კალუმ პოლანდიური ენისა და ისტორიის გამოცდაზე თავი შეირცხვინა და მეორეც, ამ ქვეყანაში ხუთი წელი მაინც უნდა იცხოვრო, რომ მოქალაქეობის ამბავი განიხილოს.

მაურინიუ კი ფიქრობს, რომ კალუ „ჩელსიში“ ჩაირიცხება და „ფეინორდში“ ქირით დარჩება.

მოკლედ, ვაჭრობის ახალი სეზონი იწყება.

**ირაკლი გამყრელიძე
ლონდონიდან**

ამბავი ლაკი ლუჩანოსი რატომ დასცა მოჯიბ რობი?

„თუ ნესვის მინდორში ფეხსაცმელზე თასმა გაგეხსნებათ, სანამ შესაკრავად დაიხრებით, კარგად მიმოიხედეთ, თორემ ვინმეს შეიძლება ქურდი ეგონოთ“ — თქვა „იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიბ 2000 წელს, როდესაც ჰკითხეს, როგორ ფიქრობთ, თქვენ მუდმივად ეჭვის თვალით რომ გიყურებენ, ეს სრულიად იტალიურ ფეხბურთს ხომ არ აზიანებსო. ანდაზა, რომლითაც ეს წერილი დაიწყო, ჩინურია და მოსწრებული, მაგრამ სინიორ მოჯის იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში უფრო კონკრეტული პასუხების გაცემა მოუწევს, როდესაც ბოლო დღეებში აგორებულ სკანდალზე დაუწყებენ გამოკითხვას.



მინტერესებდა — პასუხობს მოჯი. „ამიტომაც დაგირეკე. ხომ ხედავთ, არ მაეციწყლებით“ — აგვირგვინებს პაირეტო.

კი მაგრამ, სად არის აქ დანაშაული? — გაცდებდა მკითხველი. სად და იქ, რომ მოჯი მსაჯის ვინაობას ორი კვირით ადრე იგებს, მაშინ, როდესაც ოფიციალურად მსაჯის საჯაროდ გამოცხადების უფლება პაირეტოს მხოლოდ თამაშამდე 48 საათით ადრე ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით, უეფა პაირეტოს დასჯას აპირებს. საყვედური უკვე გამოცხადებულია, დანარჩენი კი წინ არის, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, პაირეტო უეფაში დიდ პოსტზე ალბათ ადარ დარჩება და ამბობენ, რომ მის ადგილს პაირეტოვი კოლინა დაიკავებს.

თუმცა დაუბრუნდეთ მოჯის, რომლის პირველი რეაქცია ის გახლდათ, რომ ყველაფერს ნაგავი და ტყუილი უწოდა. შემდეგ მან განაცხადა, რომ იტალიურ გაზეთებში სკანდალი საგანგებოდაა

აგორებული, რათა „იუვენტუსის“ ბოლო ორ ტურში საჩემპიონოდ აუცილებელი ქულების აღებაში შეეშალოს ხელი, მაგრამ, ასეა თუ ისე, იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში ტურინის პროკურატურიდან გადაგზავნილი 272-გვერდიანი დოკუმენტი დევს და ის გასარჩევია.

ლუჩანო მოჯი 68 წლისაა. ახალგაზრობაში 20 წელიწადი სახელმწიფო რკინიგზაში გაატარა სხვადასხვა თანამდებობაზე, მერე კი „იუვეს“ სკაუტობას მიჰყო ხელი. იმუშავა „რომაში“, „ტორინოსა“ და „ნაპოლიშიც“, თუმცა საბოლოოდ, 1994 წელს „ბებერ ქალბატონს“ დაუბრუნდა და მას მერე იქაა.

„რატომ ვერ ხდებიან ჩემპიონები რომაული გუნდები? მოჯის ჰკითხეთ. სანამ ის რომის წინააღმდეგაა, 100 მილიონიც რომ დახარჯო, ჩემპიონი ვერ გახდება“ — ამბობს მის შესახებ „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი, ჩვენ კი ამ ჯერზე მეტი, აბა, რა ვითხრათ.

აკაუნა კედი

არპენტინის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა ორდღიან მადრიდულ შეკრებაზე 16 ფეხბურთელს უხმო.

